ნახიდური
ჰიდროელექტროსადგური

NAKHIDURI
HYDRO POWER PLANT

N92

25.05.2026

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურის და სოფ. თამარისის მიმდებარედ „ნახიდური ჰესი"-ს 35 კვ ძაბვის მიწისზედა (საჰაერო) ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, დაგეგმილია N1 საყრდენი ანძის ადგილმდებარეობა, რომელიც მდ. ხრამის მარჯვენა სანაპიროს ნაცვლად, განთავსდება მარცხენა სანაპიროზე, ხოლო მდინარის მარჯვენა სანაპიროზე დამატებით მოეწყობა კიდევ ერთი N2 საყრდენი ანძა.

პროექტში შეტანილი ცვლილება განპირობებულია ნახიდური ჰესის ძალური კვანძის ადგილმდებარეობის ცვლილებით, კერძოდ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 9 ივნისის N286/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების მიხედვით, ჰესის ძალური კვანძის განთავსება ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მდ. ხრამის მარჯვენა სანაპიროსა, დაგეგმილია მდ. ხრამის მარცხენა სანაპიროზე.

სკრინინგის ანგარიში მომზადებულია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 6 აპრილის N21/4649 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით.

წერილს თან ერთვის:

- ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახიდურის და სოფ. თამარისის მიმდებარედ „ნახიდური ჰესი"-ს 35 კვ ძაბვის მიწისზედა (საჰაერო) ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ნახიდური ჰესი"-ს რეგისტრაციის შესახებ.

პატივისცემით

შპს „ნახიდური ჰესი"-ს დირექტორი

ვლადიმერ ტყეშელაშვილი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"27" 05 2026 წ.
№ 7775

თბილისი 0162, საქართველო
ჭავჭავაძის მამზირი 39 ბ.
სართული 4, ოფისი 11
ტელ: +995 595 307 600
ტელ: +995 2835373
ელფოსტა: info@nakhidurihpp.ge

Tbilisi 0162, Georgia
39 b. Chavchavadze ave.
Floor 4, Office 11
Tel: +995 595 307 600
Tel: +995 2835373
Email:info@nakhidurihpp.ge